საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №101/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- და -- -- 2018 წლის 11 აპრილის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 21 ივნისის №101/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ -- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 08 თებერვლის განაჩენით -- -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 19, 180-ე მუხლის და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 06 (ექვსი) წლით, ხოლო საქართველოს სსკ 247-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში -- -- გამართლდა. საჩივარში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებული არ ფლობს ქართულ ენას და იგი ყველა სასამართლო პროცესზე მონაწილეობას ღებულობდა თარჯიმნის დახმარებით.

-- -- და -- -- განმარტებით, სასამართლოს მიერ -- -- მიმართ გამოტანილი განაჩენი დაცვის მხარეს ჩაბარდა დაგვიანებით. კერძოდ, 2018 წლის 08 თებერვლის განაჩენი დაცვის მხარეს გადაეცა 2018 წლი 26 თებერვალს, ხოლო თვითონ მსჯავრდებულს ქართულ ენაზე შედგენილი განაჩენი

გადაეცა ამავე წლის 21 მარტს.

საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ ფაქტიურად განაჩენის სათარგმნად, გასაცნობად და საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად, მსჯავრდებულს განაჩენი გადაეცა ყველა ვადის დარღვევით - 01 (ერთი) თვისა და 14 (თოთხმეტი) დღის შემდეგ, რის გამოც, დაცვის მხარემ ვერ შეძლო ხარისხიანი და კვალიფიციური სააპელაციო საჩივრის მომზადება. ამასთან, იმის გამო, რომ მსჯავრდებული დროულად ვერ გაეცნო მის მიმართ დამდგარ განაჩენს, -- -- შეეზღუდა კანონით დადგენილ ვადაში განაჩენის შესწავლის და პოზიციის ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ -- საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის -- -- 2018 წლის 08 თებერვლის განაჩენით -- -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქ/პუნქტით, მე-3 ნაწილის ,,ა'' და ,,ბ'' ქ/პუნქტებით, 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქ/პუნქტით, მე-3 ნაწილის ,,ა'' და ,,ბ'' ქ/პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახით განესაზღვრა 06 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამავე განაჩენით, -- -- გამართლდა საქართველოს სსკ 247-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და ცნობილ იქნა უდანაშაულოდ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ -- -- მიმართ ქართულ ენაზე არსებული 2018 წლის 08 თებერვლის განაჩენი შედგება 62 (სამოცდაორი) გვერდისგან.

საქმის მასალებიდან დადგინდა, რომ მოსამართლის თანაშემწემ -- --, 2018 წლის 23 თებერვალს -- -- მიმართ არსებული განაჩენის ასლი გადაუგზავნა პენიტენციური დეპარტამენტის №8 დაწესებულებას და ამავე დაწესებულებას დაევალა განაჩენის ასლის მსჯავრდებულისთვის ჩაბარება.

იმავე დღეს, 2018 წლის 23 თებერვალს, მოსამართლის თანაშემწემ -- -- წერილით მიმართა შპს ,,--'' და ითხოვა -- -- მიმართ არსებული განაჩენის აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა.

მსჯავრდებულ -- -- ინტერესების დამცველ ადვოკატს -- --, მისივე 2018 წლის 26 თებერვლის განცხადების საფუძველზე, განაჩენის ასლი გადაეცა იმავე დღეს - 2018 წლის 26 თებერვალს.

2018 წლის 06 მარტს, ადვოკატმა -- -- სააპელაციო საჩივრით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და 2018 წლის 08 თებერვლის განაჩენი გაასაჩივრა -- სააპელაციო სასამართლოში.

2018 წლის 12 მარტს, -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის -- -- თანაშემწეს -- -- და შპს ,,--''

სერვისების მენეჯერს -- -- შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი (№12-03/2), რომლის საფუძველზე სასამართლოს გადაეცა აზერბაიჯანულ ენაზე ნათარგმნი განაჩენი, რომელიც შედგებოდა 63 (სამოცდასამი) გვერდი, სს საქმზე 1/3086-17 -- -- მიმართ.

იმავე დღეს, 2018 წლის 12 მარტს, აზერაბიჯანულ ენაზე ნათარგმნი განაჩენის ასლი, გადაეგზავნა პენიტენციური დეპარტამენტის №8 დაწესებულებას და ამავე დაწესებულებას დაევალა განაჩენის ასლის მსჯავრდებულისთვის დროული ჩაბარება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება". ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

აღსანიშნავია, რომ კანონი არ აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებაში, შესაბამისად, ამ საკითხზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს არის თუ არა საუბარი სამოსამართლო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან დაუდევრობაზე, ან უგულისყურო შესრულებაზე, სისტემატიურად და არასაპატიო მიზეზით, რასაც იზიარებს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და სადისციპლინო პრაქტიკა (ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, მაკედონია და ა.შ.).

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთის მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის Nდს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორი აღნიშნავს. რომ მოსამართლემ -- -- დაგვიანებით გადასცა დაცვის მხარეს განაჩენი, რითაც მსჯავრდებულს შეეზღუდა საპროცესო უფლებები და ამავდროულად ვერ მოხერხდა სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანი მომზადება.

საქართველოს სსკ 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კოდექსით დადგენილი ვადები გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით. ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, რომლებიც გამოითვლება წუთებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპროცესო ვადაში შედის არასამუშაო დროც, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეები.

საქართველოს სსკ 278-ე მუხლის თანახმად, განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლი მსჯავრდებულს ან გამართლებულს და ბრალმდებელს უნდა გადაეცეს განაჩენის

გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღისა. პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით იმავე ვადაში გადაეცემა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 295-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმე, საჩივარი და მისი შესაგებელი პირველი ინსტანციის სასამართლოდან იგზავნება სააპელაციო სასამართლოში.

დისციპლინური საჩივრის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ -- -- მიმართ -- საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება რთული და მრავალტომიანი კატეგორიის საქმეს და მსჯავრდებულის მიმართ დამდგარი 2018 წლის 08 თებერვლის განაჩენი შედგება 62 (სამოცდაორი) გვერდისგან. შესაბამისად, საქართველოს სსკ 278-ე მუხლიდან გამომდინარე, მოსამართლე უფლებამოსილი იყო მსჯავრდებულისთვის განაჩენი ჩაებარებინა 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში.

ამდენად, ზემოთ ხსენებული საპროცესო კანონმდებლობის და საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე დასტურდება, რომ სასამართლომ 01 (ერთი) დღის დაგვიანებით გადაუგზავნა განაჩენის ასლი პენიტენციური დეპარტამენტის №8 დაწესებულებას, რომელსაც დაევალა მსჯავრდებულისთვის განაჩენის ასლის დროულად ჩაბარება. კერძოდ, ნაცვლად არაუგვიანეს 22 თებერვლისა, განაჩენის ასლი №8 დაწესებულებას გადაეგზავნა 23 თებერვალს.

სასამართლოს მხრიდან მსჯავრდებულისთვის განაჩენის 01 (ერთი) დღით დაგვიანებით გადაგზავნის ფაქტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საყურადღებოა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა და სადისციპლინო პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს, რაც განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ დაცვის მხარემ დროულად შეძლო სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენის გასაჩივრება. კერძოდ, 2018 წლის 06 მარტს, ადვოკატმა -- -- სააპელაციო საჩივრით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და 2018 წლის 08 თებერვლის განაჩენი გაასაჩივრა -- სააპელაციო სასამართლოში.

იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატ -- -- განაჩენის ასლი გადაეცა 2018 წლის 26 თებერვალს, საგულისხმოა, რომ დაცვის მხარეს ჰქონდა საკმარისი დრო დაცვის პოზიციის მოსამზადებლად. აქვე გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სსკ 278-ე მუხლი სასამართლოს მიერ 14 დღის ვადაში მრავალტომიანი საქმის განაჩენის ჩაბარების ვალდებულებას განსაზღვრავს მხოლოდ მსჯავრდებულს, გამართლებულისა და ბრალმდებელის მიმართ.

ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ 14 დღიანი ვადა შეეხება სასამართლოს მიერ განაჩენის სახელმწიფო ენაზე მომზადებას და არა ამავე ვადაში განაჩენის სხვა ენაზე თარგმნის ვალდებულებას.

რაც შეეხება, აზერბაიჯანულ ენაზე ნათარგმნი განაჩენის მსჯავრდებულისთვის დაგვიანებით გადაცემის ფაქტს. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ სწორად შეფასდეს სასამართლოს მხრიდან განხორციელებული ქმედებების თანმიმდევრულობა და სასამართლოს უფლება-მოვალეობები.

კერძოდ, საქმის მასალებიდან გამოირკვა, რომ მას შემდეგ რაც მსჯავრდებულს გადაეგზავნა ქართულ ენაზე შედგენილი განაჩენის ასლი, იმავე დღეს, 2018 წლის 23 თებერვალს, მოსამართლის თანაშემწემ -- -- წერილით მიმართა შპს ,,--'' და ითხოვა -- -- მიმართ არსებული განაჩენის აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა. ამდენად, სასამართლოს განაჩენის დროულ თარგმაზე პასუხისმგებელი და უფლებამოსილი პირი გახლდათ შესაბამისი ორგანიზაცია.

ამდენად, ზემოაღნიშნულთან მიმართებაში სახეზე არ გვაქვს მოსამართლის მიერ მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების ფაქტი.

საჩივარში მითითებულ სხვა გარემოემებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი განაჩენის კანონიერებასა და მის დასაბუთებულობაზე. სასამართლოს განაჩენის ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს

დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75^{1}-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრის ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10}-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75^{12}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №101/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი